

DCFTA და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება



26 ივნისი
თბილისი, ელკანა

მანანა წულაია
ასოციაცია “ელკანა”
ადვოკატების ჯგუფი

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება



- პრეამბულა
 - კარი I - ზოგადი პრინციპები
 - კარი II - პოლიტიკური დიალოგი
 - კარი III - თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება
 - კარი IV - **ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები** (ვეხებით 4 კარს, თავებს და დანართებს)
 - კარი V - **ეკონომიკური თანამშრომლობა** (მუხლი 288-სოფლის მეურნეობის სტატისტიკა)
 - კარი VI - **თანამშრომლობის სხვა სფეროები** (სოფლის მეურნეობა , კლიმატი, გარემოს დაცვა და სამომხმარებლო პოლიტიკა)
 - კარი VII - ფინანსური დახმარება
 - კარი VIII - ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები
-
- დანართი I
 - დანართები II-XIV
 - დანართი XV
 - დანართები XVI-XXI
 - დანართები XXII-XXIII
 - დანართები XXIV-XXXIII
 - დანართი XXXIV

http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=17011

ბიომშენიერი ცხოვრებისათვის!
ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.

შეთანხმებაზე მოლაპარაკების პროცესი



ასოცირების შეთანხმების პარაფირება (მხარეთა დელეგაციების ხელმძღვანელების მიერ შეთანხმების თითოეულ გვერდზე ინიციალების დასმით, მოლაპარაკებელი ტექსტის დადასტურება) მოხდა 2013 წლის 28-29 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის ფარგლებში.

ასოცირების შეთანხმების ტექსტს ხელი მოეწერა ა.წ. 27 ივნისს. შეთანხმების ძალაში შესასვლელად საჭიროა საქართველოს პარლამენტის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტების მიერ რატიფიცირება. შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების (მათ შორის DC FTA) ამოქმედება შესაძლებელია ევროკავშირის მხრიდან ევროპარლამენტისა და ევროკომისიის თანხმობით ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტების მიერ რატიფიცირების გარეშე და საქართველოს მხრიდან საქართველოს პარლამენტის რატიფიცირების შემდეგ.

DCFTA მოიცავს შემდეგ თავებს:



- საქონლით ვაჭრობა
- ვაჭრობაში დაცვითი ზომები
- ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები
- საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა
- დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია
- მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა
- საჯარო შესყიდვები
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები
- კონკურენცია
- ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში
- გამჭვირვალობა
- ვაჭრობა და მდგრადი განვითარება
- დავების მოგვარება
- დაახლოების ზოგადი დებულებები

სოფლის მეურნეობის მიმართებით რელევანტური თავები



- საქონლით ვაჭრობა
- ვაჭრობაში დაცვითი ზომები
- ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება (დანართი III-A დაახლოების სექტორული კანონმდებლობის ნუსხა; დანართი III-B ჰორიზონტალური კანონმდებლობის საორიენტაციო ნუსხა)
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები
- საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები
- ვაჭრობა და მდგრადი განვითარება

DCFTA –ში ს/მ -თან დაკავშირებული საკითხების კლასტერებად გაერთიანება



- საბაჟოზე გადაადგილება
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, სტანდარტები და შესაბამისობის შეფასება
- გეოგრაფიული ინდიკატორები

კლასტერთან საბაჟოზე გადაადგილება - დაკავშირებული თავები



კარი 4 (DCFTA),

თავი:

- საქონლით ვაჭრობა
- ვაჭრობაში დაცვითი ზომები
- საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა
- ვაჭრობა და მდგრადი განვითარება (მუხლი 232 ბიომრავალფეროვნება)

დანართი:

- დანართი 2
- დანართი XIII

ოქმი:

- ოქმი 1 - თავი II (“საქონლის წარმოშობის” ცნების განსაზღვრება), თავი IV საბაჟო მოსაკრებლის დაბრუნება ან საბაჟო მოსაკრებლისგან გათავისუფლება

კლასტერთან სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები გათვალისწინებული თავები



კარი 4 (DCFTA),

თავი:

- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები

დანართი:

- დანართი IY-XII

კლასტერთან სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, სტანდარტები და შესაბამისობის შეფასება დაკავშირებული თავები



კარი 4 (DCFTA),

თავი:

- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები
- ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება

დანართი

- დანართები IY-XII
- ოქმი 1

გეოგრაფიული აღნიშვნები



კარი 6:

- თავი 10
- დანართი 26 (გვ. 32, 33)

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)



მნიშვნელოვნად გამარტივდება საქართველოდან მომსახურების ექსპორტი ევროკავშირში.
ქართულ, მომსახურების სფეროს, კომპანიებს მიეცემათ საშუალება:

- დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპულ მომხმარებელს;
- თავიანთ ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები და გაატარონ პრაქტიკა თავიანთ თანამშრომლებს;
- გაუშვან თავიანთი გაყიდვების წარმომადგენლები ევროკავშირში, მათი პროდუქციის გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების საწარმოებლად;
- მიაწოდონ მომსახურება ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან, ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)



ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV თავი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

კარი IV ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები



ეროვნული რეჟიმი და საქონლის ბაზარზე დაშვება

მიზანი

- წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეები შექმნიან **თავისუფალ სავაჭრო ზონას** ამ შეთანხმების დებულებების და ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT 1994) XXIV მუხლის შესაბამისად.
- თითოეული მხარე მიაჩნებს მეორე მხარის საქონელს ეროვნულ რეჟიმს GATT 1994-ის III მუხლისა და მისი განმარტებითი ჩანაწერების შესაბამისად. ამ მიზნით, GATT 1994-ის III მუხლი (GATT 1994 - General Agreement on Tariffs and Trade, an international treaty (1948–94) to promote trade and economic development by reducing tariffs and other restrictions) და მისი განმარტებითი ჩანაწერები წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

The WTO replaced GATT as an international organization, but the General Agreement still exists as the WTO's umbrella treaty for trade in goods, updated as a result of the Uruguay Round negotiations. Trade lawyers distinguish between GATT 1994, the updated parts of GATT, and GATT 1947, the original agreement which is still the heart of GATT 1994. Confusing? For most of us, it's enough to refer simply to "GATT".

http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact5_e.htm

ბიომშენიერი ცხოვრებისათვის!

ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.

სატარიფო ბარიერები - საბაჟო გადასახადების, გადასახდელებისა და სხვა მოსაკრებლების გაუქმება



იმპორტზე საბაჟო გადასახადების გაუქმება

1. ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან, მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილ პროდუქციაზე, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა და ამ მუხლის მე-4 პუნქტისათვის ზიანის მიყენების გარეშე.
2. ამ შეთანხმების II-A დანართში ჩამოთვლილი პროდუქტები საბაჟო გადასახადის გარეშე უნდა იქნას იმპორტირებული ევროკავშირში, ამ დანართში მითითებული სატარიფო კვოტის ფარგლებში. სატარიფო კვოტაზე გადაჭარბებით იმპორტისას გამოყენებული უნდა იყოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი საბაჟო გადასახადის განაკვეთი.
3. ამ შეთანხმების II-B დანართში ჩამოთვლილი პროდუქტები ევროკავშირში იმპორტისას უნდა დაექვემდებაროს საბაჟო გადასახადის გადახდას, ამ გადასახადის ადვალორული კომპონენტის (ტვირთების გადაზიდვის გადახდაზე, საბაჟო გადასახადებზე და სხვა გადასახადებზე, რომელიც ირიცხება არა ტვირთის ერთეულისთვის, არამედ მისი ღირებულების პროცენტებში) გარეშე.
4. საქართველოში წარმოშობილი პროდუქტის იმპორტი, რომელიც ჩამოთვლილია 3 ამ შეთანხმების II-C დანართში, დაექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს წინამდებარე შეთანხმების 27-ე მუხლის შესაბამისად.

გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი პროდუქტებისთვის



II-C დანართში მოცემული პროდუქტები ექვემდებარება ამ მუხლით განსაზღვრულ გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს. ამ პროდუქტების თითოეული კატეგორიის საქართველოდან ევროკავშირში იმპორტის საშუალო წლიური მოცულობა მოცემულია ამ შეთანხმების II-C დანართში.

გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი (anti-circumvention mechanism)

სოფლის მეურნეობისა და კვების გადამამუშავებელი პროდუქციის 277 სატარიფო ხაზი (სრული სატარიფო ნუსხის (ნომენკლატურის) 3%) ექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს. მექანიზმი მდგომარეობს შემდეგში, კერძოდ:

როდესაც კალენდარული წლის დასაწყისიდან გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს დაქვემდებარებული ერთი ან მეტი პროდუქტის იმპორტი მიაღწევს ფიქსირებული რაოდენობის 70%-ს, ევროკავშირი ატყობინებს საქართველოს კონკრეტული პროდუქტის იმპორტის მოცულობის შესახებ. საქართველოს აქვს შესაძლებლობა წარუდგინოს ევროკავშირს არგუმენტირებული (მაგ. წარმოების მოცულობის გაზრდის, უზვმოსავლიანობის და ა.შ) დასაბუთება იმპორტის შესაძლო გადაჭარბების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია განახორციელოს მექანიზმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობის პროდუქციის იმპორტი ევროკავშირში საბაჟო გადასახადის გარეშე. წარმოშობის გაყალბება

გლობალური დაცვითი ზომები



მოცემული შეთანხმებით განსაზღვრულია, რომ დემპინგური იმპორტის, გადაჭარბებული იმპორტისა და სუბსიდირებული იმპორტის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ ვმო-ს შეთანხმებებით გათვალისწინებული პროცედურებით გამოიყენონ ვაჭრობაში დაცვითი ზომები.

მხარეები ადასტურებენ თავიანთ უფლებებს და მოვალეობებს GATT 1994-ის XIX მუხლის და ვმო-ს შეთანხმების 1A დანართში მოცემული დაცვითი ზომების შესახებ შეთანხმების (დაცვითი ზომების შეთანხმება) და ვმო-ს შეთანხმების 1A დანართში მოცემული სოფლის მეურნეობის შესახებ შეთანხმების (სოფლის მეურნეობის შეთანხმება) მე-5 მუხლის შესაბამისად.

დაცვით ზომებთან დაკავშირებული მოკვლევის დამწყები მხარე, რომელიც მიზნად ისახავს დაცვითი ზომების დაწესებას, დაუყოვნებლივ წარმოადგენს წერილობით შეტყობინებას ყველა იმ სათანადო ინფორმაციის თაობაზე, რომელიც ეხება დაცვითი ზომების შესახებ მოკვლევის დაწყებასა და დაცვითი ზომების დაწესებას და აგრეთვე, სადაც საჭიროა, წარმოადგენს ინფორმაციას დაცვითი ზომების შესახებ მოკვლევის დაწყების შესახებ, დაცვითი ზომების შესახებ მოკვლევის დროებითი და საბოლოო შედეგების შესახებ და ასევე მისცემს მეორე მხარეს კონსულტაციების გამართვის შესაძლებლობას.

ვალდებულებები



- **ვალდებულება** შეთანხმებიდან გამომდინარე, საქართველოს მხარე ვალდებულებას იღებს, მოახდინოს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია შესაბამის ევროპულ სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ კანონმდებლობასთან. ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ 6 თვის ვადაში საქართველომ უნდა შეიმუშაოს იმ ევროპული საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომელთანაც მოხდება ქართული კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება.
- შეთანხმების მიხედვით, დაახლოების სია უნდა იყოს დაყოფილი პრიორიტეტების მიხედვით და დროში გაწერილი, რაც ხელს შეუწყობს როგორც ერთი პროდუქტით, ასევე პროდუქტების ჯგუფით ვაჭრობას მხარეებს შორის.
- საკანონმდებლო დაახლოება ევაკუთხედია საქართველოსა და ევროკავშირს შორის სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობისას. აღნიშნულის მიღწევა საფუძველი იქნება ქართული მარეგულირებელი სისტემის ევროპულ რეგულაციებთან ექვივალენტობის დადგენისას.
- ექვივალენტობის დადგენა შესაძლებელი იქნება ერთ ღონისძიებაზე, ღონისძიებათა ერთობლიობაზე, ან სისტემაზე, რომელიც ეხება სექტორს, ქვესექტორს, კონკრეტულ პროდუქტს ან პროდუქტების ჯგუფს. ექვივალენტობის ფორმალურად აღიარების შემდეგ, მისი დანერგვა მოხდება მხარეებს შორის ვაჭრობაში. გადაწყვეტილება ექვივალენტობის აღიარების შესახებ შესაძლოა გამოიხატოს საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ტვირთის ფიზიკური შემოწმების შემცირებით, აგრეთვე სერთიფიკატების და საწარმოების ექსპორტიორთა სიაში შეტანის პროცედურების გამარტივებით.

ვაჭრობაში ეკვივალენტობის აღიარება



"ეკვივალენტობა ვაჭრობის მნიშვნელობით" (ეკვივალენტობა) ნიშნავს მდგომარეობას, როდესაც ექსპორტიორ ქვეყანაში დანერგილი IV დანართში ჩამოთვლილი ღონისძიებები, იმის მიუხედავად განსხვავდება თუ არა იმპორტიორი მხარის მიერ დანერგილი IV დანართში ჩამოთვლილი ღონისძიებებისგან, რეალურად აღწევს იმპორტიორი მხარის დაცვის შესაბამის ან რისკის მისაღებ დონეს.

ექვივალენტობის აღიარების პრინციპები



პრინციპები

- ექვივალენტობის დადგენა შესაძლებელია ინდივიდუალური ღონისძიებისათვის, ღონისძიებათა ჯგუფისათვისან სისტემისათვის, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ საქონელთან, საქონლისკატეგორიებთან ან ყველასთან ერთად
- იმპორტიორი მხარის მიერ ექვივალენტობის აღიარების მოთხოვნის განხილვა ექსპორტიორი მხარის კონკრეტულ საქონელთან მიმართებაში, არ უნდა გახდეს ვაჭრობის შეფერხების ან ექსპორტიორი მხარიდან ამ საქონლის მიმდინარე იმპორტის შეჩერების მიზეზი.
- ექვივალენტობის აღიარების პროცესი არის ინტერაქტიული პროცესი ექსპორტიორ და იმპორტიორ მხარეებს შორის. პროცესი მოიცავს ექსპორტიორი მხარის მიერ ინდივიდუალური ღონისძიების ექვივალენტობის ობიექტურ დემონსტრირებასა და ამ დემონსტრირების ობიექტურ შეფასებას იმპორტიორი მხარის მიერ ექვივალენტობის შესაძლო აღიარების მიზნით.
- ექსპორტიორი მხარის შესაბამისი ღონისძიებების ექვივალენტობის საბოლოო აღიარების პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმპორტიორ მხარეს. (დანართი 8, გვ. 47)

ეკვივალენტობის განსაზღვრა



პროცესი

- ექსპორტიორი მხარე ახდენს პროცესის ინიცირებას იმპორტიორი მხარისათვის სექტორში ან ქვე-სექტორში ან ყველაში ერთად საქონლის ან საქონლის კატეგორიებისათვის, ინდივიდუალური ღონისძიების, ან ღონისძიებათა ან სისტემათა ჯგუფის ეკვივალენტობის აღიარების მოთხოვნის წარდგენით.
- იმპორტიორი მხარე ექსპორტიორ მხარეს აცნობებს ამ საქონელთან ან საქონლის კატეგორიებთან დაკავშირებულ შიდა ღონისძიებებსა და იმპორტის პირობებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ;
- ექსპორტიორი მხარე იმპორტიორი მხარისათვის ახდენს ობიექტურ დემონსტრირებას, იმისას რომ ღონისძიებები, რომელთა იდენტიფიცირებაც მოახდინა, ეკვივალენტურია ამ საქონლის ან საქონლის კატეგორიების იმპორტის პირობების;
- იმპორტიორი მხარე ობიექტურად აფასებს ექსპორტიორი მხარის მიერ ეკვივალენტობის დემონსტრირებას;
- იმპორტიორი მხარე აკეთებს დასკვნას მიღწეულია თუ არა ეკვივალენტობა;
- იმპორტიორი მხარე ექსპორტიორ მხარეს წარუდგენს სრულ განმარტებასა და დამასაბუთებელ მონაცემებს მის დადგენილებასთან და გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, თუ ეს მოითხოვება ექსპორტიორი მხარის მიერ;

ვაჭრობაში ეკვივალენტობის აღიარება



1. სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობა კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება საქართველოს სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობა ეტაპობრივად უნდა დაუახლოვდეს ევროკავშირის მხარისას, რომელიც დაეფუძნება ევროკავშირის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობის დაახლოების ჩამონათვალს. ჩამონათვალი უნდა დაიყოს პრიორიტეტულ სფეროებად, რომელიც უკავშირდება ღონისძიებებს, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე შეთანხმების IVდანართში. ამ მიზნით საქართველომ უნდა განსაზღვროს ვაჭრობის საკუთარი პრიორიტეტული სფეროები.

ეკვივალენტობის აღიარების პროცესის დაწყება



2. დაახლოების პროცესის მონიტორინგი ეკვივალენტობის აღიარების პროცესის დასაწყებად საქართველომ უნდა შეატყობინოს ევროკავშირს, როდესაც დაახლოება მიღწეულია ღონისძიებისთვის, ღონისძიებათა ჯგუფისთვის ან სისტემისთვის (მუხლი 57 პირველი პუნქტი) როგორც წინამდებარე შეთანხმების 55-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული მონიტორინგის შედეგი. ეს ფაქტი ჩაითვლება როგორც საფუძველი საქართველოსთვის მოითხოვოს ეკვივალენტობის აღიარების პროცესის დაწყება

ექვივალენტობის აღიარების მოთხოვნის წარდგენა



3. ექვივალენტობის აღიარების მოთხოვნის წარდგენა ექსპორტიორი მხარის მიერ.

ექსპორტიორი მხარე ახდენს პროცესის ინიცირებას იმპორტიორი მხარისათვის სექტორში ან ქვე-სექტორში ან ყველაში ერთად საქონლის ან საქონლის კატეგორიებისათვის, ინდივიდუალური ღონისძიების, ან ღონისძიებათა ან სისტემათა ჯგუფის ექვივალენტობის აღიარების მოთხოვნის წარდგენით.

ეკვივალენტურობის განსაზღვრა (მუხლი 57) იმპორტიორი მხარის მიერ



4. ეკვივალენტურობის განსაზღვრა (მუხლი 57) იმპორტიორი მხარის მიერ.
ეს პროცესი უნდა მოიცავდეს ეკვივალენტობის ობიექტურ დემონსტრირებას ექსპორტიორი მხარის მიერ და მოთხოვნის ობიექტურ შეფასებას იმპორტიორი მხარის მიერ. ეს შეფასება შეიძლება მოიცავდეს ინსპექტირებას ან დამოწმებას.

ეკვივალენტურობის აღიარება იმპორტიორი მხარის მიერ



5. ეკვივალენტურობის აღიარება იმპორტიორი მხარის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ეკვივალენტობა ოფიციალურად აღიარებულ იქნა იმპორტიორი მხარის მიერ, წინამდებარე შეთანხმების VIII დანართის შესაბამისად გამართული კონსულტაციების საფუძველზე, SPS ქვეკომიტეტმა წინამდებარე შეთანხმების 65(5) მუხლით განსაზღვრული პროცედურის საფუძველზე უნდა მოახდინოს მხარეებს შორის ვაჭრობაში ეკვივალენტობის აღიარების დეკლარირება. ასეთმა გადაწყვეტილებამ შეიძლება აგრეთვე განაპირობოს ფიზიკური შემოწმების შემცირება საზღვარზე, საწარმოებისთვის სერტიფიკატებისა და პროდუქციის გაყიდვამდე შემოწმების განსაზღვრული პროცედურების გამარტივება.

გაჭრობაში ექვივალენტობის აღიარების
პროცედურა

ქართული პროდუქტი

-

სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და
ცხოველთა კეთილდღეობის
კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება

ექვივალენტობის აღიარებისათვის
ადმინისტრაციული პროცედურების
გატარება

ექვივალენტობის აღიარების პროცესის
დაწყება

ექვივალენტობის ობიექტურ
დემონსტრირებას ექსპორტიორი მხარის მიერ

ექვივალენტობის განსაზღვრა (მუხლი 57)
იმპორტიორი მხარის მიერ.

ექვივალენტობის აღიარება იმპორტიორი
მხარის მიერ.

EU Market

საწარმოთა პირობითი აღიარება



ამ შეთანხმების 62-ე მუხლში მოცემული დებულებების შესაბამისად, იმპორტიორი მხარის მიერ განხორციელებული დამოწმება შესაძლებელია იყოს პირობითი აღიარების პროცედურის ნაწილი. აღნიშნული დამოწმება ეხება კომპეტენტური ორგანოს სტრუქტურასა და ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოების აღიარებაზე და ასევე ამ კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილებას და გარანტიებს, რომლებსაც ის იძლევა, იმპორტიორი მხარის წესების განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს დამოწმება შესაძლებელია მოიცავდეს ექსპორტიორი მხარის მიერ წარმოდგენილ სიაში ან სიებში ჩამოთვლილი გარკვეული საკმარისი რაოდენობის საწარმოების ადგილზე ინსპექტირებას

ბიომშენიერი ცხოვრებისათვის!
ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.

ქართული პროდუქტის შესვლა ევროპის ბაზარზე



ვაჭრობაში ეკვივალენტობის აღიარების შემთხვევაში ქართული პროდუქტი საბაჟოზე გამარტივებული წესით გადაადგილდება.

ეკვივალენტობის აღიარებამდე

- ცხოველური პროდუქტი ვერ შედის ევროპის ბაზარზე, გამონაკლია პირობითად აღიარებული საწარმოები (დანართი VII).
- მცენარეული პროდუქტი შედის ევროპის ბაზარზე მკაცრი საბაჟო პროცედურებით.

სარგებელი



სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სისტემის გაუმჯობესება და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება გაზრდის ქართული პროდუქციის ხარისხს და ამაღლებს სანდობას მსოფლიო ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის ზრდას. გარდა ამისა:

- ქართველ მომხმარებელს მიეწოდება უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტი;
- შემცირდება ქართველი ექსპორტიორებისათვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯები;
- მოხდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოდერნიზება;
- ამაღლდება ქართული აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა.

ბიომშენიერი ცხოვრებისათვის!
ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.



Organic Products
for **BI**Otiful Life!

გმადლობთ
ყურადღებისათვის

www.elkana.org.ge